„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ივლისის N94/2024 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

თბილისი 2024 წლის 5 სექტემბერი

თსუ რექტორის 2024 წლის 19 ივლისის **N195/01-01** ბრძანების, 2024 წლის 18 ივლისის **N194/01-01** ბრძანების, 2024 წლის 19 ივლისის **N 200/01-01** ბრძანების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს **N94/2024** 2024 წლის 31 ივლისის **N12** სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

შემაჯამებელი ოქმი:

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

ნატო ფიცხელაური (თსუ ასოცირებული პროფესორი) - თავმჯდომარე
ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი
თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ-პროფესორი)-წევრი

კონკურსი იყო გამოცხადებული **შვიდ კათედრაზე:**

1. პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრა

პროფესორი (ა-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.

საბუთები შემოიტანა **ორმა კონკურსანტმა.**

2. კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ -კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.

საბუთები შემოიტანა **ერთმა კონკურსანტმა.**

3. კლინიკური ქირურგიის კათედრა I

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა **ერთმა კონკურსანტმა.**

4. კლინიკური ქირურგიის კათედრა I

ასისტენტ-პროფესორი (ა-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა **ერთმა კონკურსანტმა.**

5. შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა **ერთმა კონკურსანტმა.**

6. კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა **ერთმა კონკურსანტმა.**

7. კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა **ერთმა კონკურსანტმა.**

საბუთების მიღების დასრულებისთანავე, კომისიას გადაეცა კონკურსანტების საბუთები დალუქულ მდგომარეობაში.

კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ შემოტანილი საბუთები ცალ-ცალკე (ოქმი N1); დოკუმენტები შეფასდა კონკურსის მოთხოვნის პირობების მიხედვით; კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები იყო სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან და კონკურსანტები გადავიდნენ მე-2 ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კონკურსანტებთან გასაუბრება შედგეს 5 სექტემბერს 12:00 საათიდან - 16:00 საათამდე - წარმოდგენილი კონკურსანტების გრაფიკის მიხედვით. ამასთან, პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრაზე ერთ ვაკანტურ თანემდებობაზე ორი კანდიდატის არსებობის გამო, კომისიის თავმჯდომარემ და მოადგილემ მიზანშეწონილად ცნო საარჩევნო კომისიისთვის საჩვენებელი ლექციის მოსმენა, რისთვისაც მედიცინის დოქტორ გიორგი პატარაიას ლექცია დაინიშნა 2024 წლის 5 სექტემბერს 12:00 საათზე, ხოლო

მედიცინის დოქტორ მიხეილ ჯანგავაძის ლექცია დაინიშნა 2024 წლის 5 სექტემბერს 13:00 საათზე.

აღნიშნული ინფორმაცია გაეგზავნა კონკურსანტებს ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ღია კენჭისყრა და კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას.

5 სექტემბერს 15 საათზე ჩატარდა კომისიის სხდომა (ოქმი N2). აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა კომისიის ოთხი წევრი:
ნატო ფიცხელაური (თსუ ასოცირებული პროფესორი) - თავმჯდომარე
ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი
თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ-პროფესორი)-წევრი.

<u>12:00 საათიდან -16:00 საათამდე გასაუბრება გაიარა:</u>

მედიცინის დოქტორებმა: მიხეილ ჯანგავაძემ, გიორგი პატარაიამ, ია ხახუტაიშვილმა, შალვა გიუაშვილმა, ნინო ინაურმა, ლიკა სვანაძემ, თეიმურაზ გორგოძემ, ვაჟა აგლაძემ. გასაუბრება შეეხო მათ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. კომისიის თავმჯდომარის, ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმ კურსებს, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა:</u>

მათ აღნიშნეს, რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამედიცინო პრაქტიკულ საქმიანობას. პროფესორმა ნინო შარაშიძემ კომისიის წევრებს დასაბუთებულად გააცნო კონკურსანტების კლინიკური მუშაობის დადებითი მხარეები. კომისიის წევრმა თამარ ლეკაშვილმა განსაკუთრებულად აღნიშნა კონკურსანტების პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. კომისიამ წარმოადგინა მონაცემები კონკურსანტების სამეცნიერო აქტიურობის შესახებ უკანასკნელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში. ამასთან, კომისიამ აღნიშნა მედიცინის დოქტორ მიხეილ ჯანგავაძის სამეცნიერო საქმიანობის უპირატესობა, მედიცინის დოქტორ გიორგი პატარაიასთან შედარებით.

იმავე დღეს 17:00 სთ-ზე გაგრძელდა კომისიის სხდომა (ოქმი N3) კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი. შეფასდა კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონკურსანტების მიმართ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u> საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 28 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ოთხმა წევრმა ხმა მისცა:

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის მიხეილ ჯანგავაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ია ხახუტაიშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ შალვა გიუაშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ნინო ინაურის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური და კვლევითი უნერ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ლიკა სვანაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ თეიმურაზ გორგოძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ვაჯა აგლაძის არჩევას;

კენჭისყრის შედეგები დამტკიცდა ღია კენჭისყრით.

კომისიის აზრით:

მედიცინის დოქტორი **მიხეილ ჯანგავაძე** იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის პროფესორის (კატეგორია „ა“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას; მიხეილ ჯანგავაძეს მიღებული აქვს მედიცინაში აკადემიური დოქტორის ხარისხი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - 2005წ); მას ეკავა თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის და სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა. ამავე დროს ხელმძღვანელობს თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის

კლინიკური ანატომიისა და ექსპერიმენტული მოდელირების დეპარტამენტს. მას გავლილი აქვს სწავლების პრინციპებისა და მიდგომების შესახებ დამატებითი სასწავლო კურსები (თსუ); გამოქვეყნებული აქვს 52 სამეცნიერო პუბლიკაცია და არის ერთი 1 წიგნის თანაავტორი; მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს ადამიანის დაავადებაა პათოლოგიური მოლეკულური საფუძვლების შესწავლა, როგორც ადამიანის ქსოვილოვან მასალაში, ასევე ცხოველის ექსპერიმენტულ მოდელებში. მედიცინის დოქტორ მიხეილ ჯანგავაძეს აქვს 17 სტატია ინფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, ციტირების ინდექსი- 95; h ინდექსი -7; g ინდექსი 9. მონაწილეობა აქვს მიღებულო 6 საგრანტო პროექტში; თანამშრომლობს 4 უცხოურ ქვეყანასთან.

არის 4 დოქტორანტის ხელმძღვანელი. მონაწილეობს შოთა რუსთაველის საგრანტო პროექტებში როგორც ახალგაზრდა მეცნიერის მენტორი და დოქტორანტის ხელმძღვანელი

2023 წლის ივნისიდან იგი ჩართულია ლატვიისა და საქართველოს ერთობლივ პროექტში „სამედიცინო განათლების პროცესების განვითარება და შესაძლებლობების განვითარება“, როგორც ექსპერტი და ლექტორი (დაფინანსებულია ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ).

2024 წელს მოპოვებული აქვს დაფინანსება გრანტის სახით (მოლეკულური პათოლოგიის სასწავლო პროგრამის შემუშავება და დანერგვა საქართველოს უნივერსიტეტებში უმაღლესი სამედიცინო განათლების სრულყოფის მიზნით; საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF) რომელიც უცხოელ პარტნიორებთან ერთად უზრუნველყოფს ახალი საგნის შექმნას და ცენტრის აღჭურვას შესაბამისი ტექნოლოგიებით.

ამ პროექტის ფარგლებში იგეგმება მოლეკულური, ქსოვილოვანი კულტურების და ექსპერიმენტული ცხოველების ლაბორატორიის შექმნა. აღნიშნული ლაბორატორია აღჭურვილი იქნება შესაბამისი თანამედროვე აპარატურით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი პროექტების წარმატებით განხორციელებას.

მედიცინის დოქტორი **ია ხახუტაიშვილი** იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ბ) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას. ია ხახუტაიშვილი არის ექიმი კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი. 2012 წლიდან მას აქვს უმაღლეს სასწავლებლებში შინაგანი მედიცინისა და ანატომიის სწავლების გამოცდილება. 2006 წლიდან დღემდე ის არის ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის, პალიატიური მედიცინისა და გერონტოლოგიის დეპარტამენტის

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 2008-2016 მან მონაწილეობა მიიღო გასტროენტეროლოგიის რეზიდენტურის პროგრამის შექმნაში და იკავებდა ამ პროგრამის კოორდინატორის თანამდებობას. 2016 წლიდან თბილისის სამედიცინო აკადემიაში (თსა) იკავებს ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ასევე არის ანატომია/ჰისტოლოგია/ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ამავე წელს არჩეულ იქნა კურიკულუმის კომიტეტის წევრად. მონაწილეობს სამედიცინო სასწავლო პროგრამების შექმნასა და განვითარებაში, სწავლების ინოვაციური მეთოდების დაგეგმვასა და განხორციელებაში. აქტიურადაა ჩართული სასწავლოს სილაბუსების შექმნასა და განვითარებაში. პროფესიული განვითარების კუთხით მუდმივად იღებს მონაწილეობას კონფერენციებში, ტრენინგებსა და სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში. ჩართულია სამეცნიერო-კვლევით პროცესებში. ია ხახუტაიშვილი აქტიურად მონაწილეობს სამედიცინო განათლებაში სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვაში.

მედიცინის დოქტორი **ნინო ინაური** იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური აბატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას. მან 2014 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა მოწვეულ ლექტორად ინგლისურენოვან ჯგუფებში: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (კლინიკური ანატომია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე (კლინიკური ანატომია, ტოპ. ანატომია და ოპერაციული ქირურგია); სამედიცინო აკადემიაში (სამედიცინო რადიოლოგია); გეომედი; 2017 წლიდან ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტში (კლინიკური ანატომია, ტოპ. ანატომია, სამედიცინო რადიოლოგია, ნეიროქირურგია). სადისერტაციო შრომის შესრულებისას ესწრებოდა და მონაწილეობას ღებულობდა საპერფუზიო მანქანით და ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატით ჩატარებულ ოპერაციებში. იყო პერფუზიოლოგის თანაშემწე კარდიოქირურგიულ და ექსტრაკორპორეულ ექსპერიმენტებში, სადაც შეისწავლა და მიღებული აქვს საპერფუზიო მანქანით მუშაობის გამოცდილება.

მედიცინის დოქტორი **შალვა გიუაშვილი** იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას. იგი არის ზოგადი ქირურგი; 2023წ. - დღემდე არის ალ. ალადაშვილის კლინიკის ზოგადი და ლაპაროსკოპიული ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი**;** 2015 – 2023 წწ. დღემდე არის ამავე კლინიკის ზოგადი ქირურგი; 2021 წ. - დღემდე ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი - პასუხისმგებელი მორიგე ქირურგი; 2019 წ. - დღემდე არის თსუ მედიცინის ფაკულტეტის კერძო ქირურგიის კათედრის ასისტენტ პროფესორი; 2015 წ. - დღემდე არის თსუ მედიცინის ფაკულტეტის კერძო ქირურგიის კათედრის

მოწვეული პედაგოგი ინგლისურენოვან სტუდენტებთან. არის 10 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი, მათ შორის 6 – Impact - ფაქტორიან ჟურნალში. გავლილი აქვს ტრენინგები და საკვალიფიკაციო კურსები. 2007წ. - დღემდე არის ევროპის ენდოსკოპიური ქირურგიის და სხვა ინტერვენციული ტექნიკის ასოციაციის წევრი.

მედიცინის დოქტორი **ლიკა სვანაძე** იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას. 2018 წლიდან დღემდე ლიკა სვანაძე არის მოწვეული ლექტორი თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრაზე და კითხულობს ლექციების კვლევით უნარ-ჩვევებში ქართულ და ინგლისურ ენაზე. იგი ასევე არის თსუ მედიცინის ფაკულტეტის მენეჯერი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. 2020 წლიდან დღემდე მუშაობს თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში სამედიცინო ინფორმატიკის მთავარ სპეციალისტად. მისი კვლევითი ინტერესია ციფრული გამოსახულებების დამუშავება ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებით. მისი ამჟამინელი სამეცნიერო კვლევა ეხება ძუძუს კიბოს კლასიფიკაციის კომპლექსური მოდელის შემუშავებას ციფრული პათოლოგიის გამოყენებით.

ლიკა სვანაძე ფლობს დიპლომირებული მედიკოსის ხარისხს. ასევე ფლობს კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხს. სადოქტორო პროგრამაზე სწავლობდა გოტინგენის უნივერსიტეტის (გერმანია) სამედიცინო ინფორმატიკის დეპარტამენტზე და 2019 წელს დაიცვა დისერტაცია ციფრული პათოლოგიის მიმართულებით თემაზე „თავის ტვინის ბანკის ციფრული გამოსახულებების მართვა და ინტეგრაცია მრავლობითი სკლეროზის კვლევითი ქსელის IT ინფრასტრუქტურაში“.

ლიკა სვანაძე 2018 წლიდან ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს უნივერსიტეტებში როგორც მედიცინის პროგრამის სტუდენტებისთვის, ასევე ბიოლოგიისა და კომპიუტერული მეცნიერებების სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებისთვის (ქართულ და ინგლისურ ენაზე). 2008 წლიდან მონაწილეობას იღებს საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე, 2022 და 2024 წლებში იყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინის“ საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, რომელიც განხორციელდა თსუ ფაკულტეტის მიერ.

მედიცინის დოქტორი **თეიმურაზ გორგოძე** იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის

(კატეგორია „ა“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას. იგი 2019 წლის დეკემბერში ზოგადი ქირურგიის სალიცენზიო გამოცდის ჩაბარების შემდგომ მუშაობს შპს ევექსის კლინიკა „ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალ“-ში პასუხისმგებელი მორიგე ქირურგად და ამავე ქსელის დიდუბის პოლიკლინიკაში. ამავე პოზიციაზე მუშაობს შპს ავერსის კლინიკის მარნეულის ფილიალში; 2020-დან დღემდე მუშაობს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. 2021 წლიდან დღემდე არის „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი“ კლინიკის - პასუხისმგებელი მორიგე ქირურგი და 2024-მარტიდან დღემდე შპს - „ინიციო“-ს - ქირურგი.

მედიცინის დოქტორი **ვაჟა აგლაძე** იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას; იგი არის კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; 2000 წლიდან სასწრაფო დახმარების სამსახურის შპს "კარდიოსერვისის" დამფუძნებელი და დირექტორია; გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ავსტრიაში; 2002 წლიდან იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის სამედიცინო სამსახურის ექიმია; 2004 წლიდან არის საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოება სამუშაო ჯგუფის - "მწვავე კარდიული პათოლოგიების მართვა"-ხელმძღვანელი; 2012 წლიდან მუშაობს ახალციხის რეგიონალურ საავადმყოფოში; 2013 წლიდან კლინიკაში "ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია" ექიმი კარდიოლოგია;

<u>ერთხმად დაადგინეს:</u>

მედიცინის დოქტორი **მიხეილ ჯანგავაძე** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **ია ხახუტაიშვილი** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **შალვა გიუაშვილი** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **ნინო ინაური** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **ლიკა სვანაძე** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **ვაჟა აგლაძე** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **თეიმურაზ გორგოძე** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა I-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N 118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა- შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

_____

ნატო ფიცხელაური (თსუ ასოცირებული პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე

_____

ია კირვალიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი

_____

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ- პროფესორი)